



ოქმი:ო37.37210553

თარიღი:24/02/2021

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. კილაძის  
ანგარიშის მოსმენის სხდომის  
ოქმი**

2021წელი, 23 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია  
„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ტ. აროშიძე.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, რომელიც ხორციელდება ონლაინ რეჟიმში, პირდაპირი ტრანსლაციით, განაცხადა, რომ გ. კილაძე არის საკრებულოს პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა გ. კილაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 - ემუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, სოფელ სილაურში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, არსებულ პრობლემებზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. ფრაქციის თავმჯდომარემ ტ. აროშიძემ აღნიშნა, რომ გ. კილაძე არის

საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია განაცხადა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

